გალტ & თაგარტი
ვქმნით შესაძლებლობებს

ტურიზმის მიმოხილვა

სექტემბერი, 2022 წელი



პრეზენტაციის შინაარსი

1 ძირითადი მიგნებები

2 ტურიზმის სექტორის აღდგენა საერთაშორისო ბაზრებზე

3 ტურიზმის სექტორის აღდგენა საქართველოში

4 სასტუმროების მიწოდება და დაგეგმილი პროექტები

5 სასტუმროების ინდუსტრიის შედეგები

ძირითადი მიგნებები

გლობალური აღდგენა: ტურიზმი თითქმის ყველგან ერთნაირად სწრაფად აღდგა 2022 წელს, მათ შორის ევროპასა და მეზობელ თურქეთში. საქართველო ოდნავ ჩამორჩება გლობალური ტურიზმის აღდგენის დინამიკას, რადგან რუსეთ-უკრაინის ომმა შეასუსტა ტურისტების ჩამოსვლა, ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებიდან.

ტურიზმის აღდგენა საქართველოში: რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისში უარყოფითი გავლენის შემდეგ, ტურიზმის აღდგენა დაჩქარდა 2022 წლის მაისიდან. ტურისტული ვიზიტების აღდგენამ 2019 წლის დონესთან შედარებით შეადგინა 56.8% 2022 წლის პირველ ნახევარში და 78.7% 2022 წლის ივლის-აგვისტოში. ამასთან, ტურიზმის შემოსავალი ვიზიტებთან შედარებით უფრო სწრაფად აღდგა - 78.3% 2022 წლის პირველ ნახევარში და 123.6% 2022 წლის ივლის-აგვისტოში 2019 წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით. აღნიშნული აიხსნება მიგრანტების შემოდინებით, მაღალი ინფლაციითა და ვიზიტების სტრუქტურით (ტურისტული ვიზიტები აჭარბებს ერთდღიან ვიზიტებს). ამავდროულად, სასტუმროს შემოსავლები უფრო სწრაფად აღდგა რეგიონებში (მათ შორის შიდა ტურიზმის ეფექტით), მაშინ როცა თბილისის ბაზარი კვლავ ჩამორჩება პანდემიამდელ დონეს ტურისტული ვიზიტების ნაწილობრივი აღდგენის გამო.

აღდგენა ქვეყნების მიხედვით: ტურისტებმა ახლო აღმოსავლეთიდან და ცენტრალური აზიიდან უკვე გადააჭარბეს 2019 წლის მაჩვენებელს, მაშინ როცა ყველა მეზობელი ქვეყანა ჩამორჩება პანდემიამდელ დონეს. მაგალითისთვის, აზერბაიჯანის შემთხვევაში ეს უკავშირდება საზღვრის კვეთაზე შენარჩუნებულ შეზღუდვებს.

დასაქმება და ხელფასები: დასაქმება მხოლოდ ნაწილობრივ აღდგა სტუმარმასპინძლობის სექტორში, ეკონომიკის სხვა სექტორებში სრული აღდგენისგან განსხვავებით. ხელფასები იზრდება, რაც ასახავს როგორც ზოგად ტენდენციას (რაც ასევე სახეზეა სხვა სექტორებშიც), ასევე მუშახელის დეფიციტს. მუშახელის დეფიციტი სავარაუდოდ დარჩება გრძელვადიან პრობლემად სექტორისთვის, რადგან პანდემიის გამო ტურიზმის შეჩერებამ სექტორი ნაკლებად მიმზიდველი გახადა სამუშაოს მაძიებლებისთვის.

სასტუმროების მიწოდება: წინა წლებში ჭარბი მიწოდების რისკები იკვეთებოდა ბრენდირებული სასტუმროების სეგმენტში, ძირითადად თბილისში. თუმცა, პანდემიამ ინვესტორებისათვის სექტორი ნაკლებად მიმზიდველი გახადა. საშუალო და დიდი ზომის (30+ ნომრიანი) სასტუმრო ოთახების ზრდა 2020-22 წლებში შენელდა და სასტუმროს მშენებლობის ნებართვების შემცირებაც ინვესტორების არასახარბიელო განწყობებზე მიუთითებს. ჩვენ ველით ინვესტიციების ეტაპობრივ აღდგენას სასტუმროებში, ძირითადად რეგიონებში ტურიზმის მოსალოდნელზე სწრაფი აღდგენის ფონზე და იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ საქართველო რჩება პოპულარულ ტურისტულ ადგილად რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად.

პროგნოზი: ჩვენ ვპროგნოზირებთ ტურიზმის შემოსავლების სრულად აღდგენას 2022 წელს პანდემიამდელ დონესთან შედარებით და ველით 10.0%-იან წლიურ ზრდას 2023 წელს. ამასთან, რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური კონფლიქტები სექტორის მთავარ გამოწვევად რჩება.

სამომავლო ხედვა: მაღალმხარჯველი ტურისტების მოსაზიდად საქართველოს ტურისტულმა სექტორმა ფოკუსირება უნდა მოახდინოს ისეთ ტურისტულ მიმართულებებზე, როგორიცაა ზამთრის, ღვინის, სამედიცინო და MICE ტურიზმი.

საქართველო ჩამორჩება საერთაშორისო ტურიზმის აღდგენას

ტურისტების რაოდენობა ევროპაში, %-ლი ცვლილება 2019 წელთან შედარებით



ტურისტების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით, %-ლი ცვლილება 2019 წელთან შედარებით

	იან-22	თებ-22	მარ-22	აპრ-22	მაი-22
თურქეთი	-16%	-7%	-6%	-22%	-4%
ესპანეთი	-41%	-28%	-29%	-15%	-12%
იტალია	-39%	-22%	-33%	-26%	
საფრანგეთი	-43%	-34%	-31%	-30%	
გერმანია	-68%	-58%	-51%	-38%	-29%
ევროპა	-48%	-36%	-34%	-33%	-34%
საქართველო	-47%	-45%	-52%	-48%	-38%

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია

ევროპაში საერთაშორისო ფრენების სიხშირე სრულ აღდგენას უახლოვდება

ფრენების დატვირთულობა ევროპაში - საერთაშორისო ფრენები, %-ლი ცვლილება 2019 წელთან შედარებით



	% ცვლილება 2019 წელთან შედარებით
იან-22	-41%
თებ-22	-40%
მარ-22	-33%
აპრ-22	-25%
მაი-22	-23%
ივნ-22	-23%
ივლ-22	-21%

მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში აღდგენილია 79%-ით 2022 წლის 8 თვეში

წყარო: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია

საქართველოში ტურიზმის სექტორის აღდგენა დაჩქარდა 2022 წლის მაისიდან, მას შემდეგ რაც შემსუბუქდა რუსეთ-უკრაინის ომის პირველი ეფექტები

ტურისტული ვიზიტების აღდგენა საქართველოში 2019 წელთან შედარებით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საერთაშორისო ვიზიტორები ტოპ-5 ქვეყნიდან საქართველოში, წილი ჯამურ ვიზიტორებში



ვიზიტორები გაიზარდა შემდეგი ქვეყნებიდან:

	%-ლი ცვლილება 2022 წლის 8 თვეში 2019 წლის 8 თვესთან შედარებით
ისრაელი	+6%
საუდის არაბეთი	+59%
ბელარუსი	+94%
ყაზახეთი	+35%
უზბეკეთი	+185%

საქართველოში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა გადააჭარბა პანდემიამდე დონეს 2022 წლის ივლისიდან

ტურიზმის შემოსავლების აღდგენა საქართველოში 2019 წელთან შედარებით



ტურიზმის შემოსავლები ტოპ-5 ქვეყნიდან საქართველოში, წილი ჯამურ შემოსავლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი
შენიშვნა: მონაცემები შეიცავს მიგრანტების (რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა) დანახარჯებს 2022 წლის მარტიდან

საქართველოს რეგიონალურ აეროპორტებში მგზავრთა ნაკადი თითქმის სრულად დაუბრუნდა პანდემიამდელ დონეს

მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში, მლნ ადამიანი



მგზავრთა ნაკადი აეროპორტების მიხედვით, 8თვე 2022



აღდგენა 2022 წლის 8 თვეში 2019 წლის 8 თვესთან შედარებით	
თბილისი	71%
ბათუმი	94%
ქუთაისი	95%

წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ტურიზმის სექტორში დასაქმება ნაწილობრივ აღდგა; ხელფასები გაიზარდა, სხვა სექტორების მსგავსად

დასაქმების ინდექსი: ტურიზმის სექტორსა და დანარჩენ ეკონომიკაში 1კვ 2019=100



წყარო: საქსტატი

საშუალო ხელფასები: ტურიზმის სექტორი და ჯამური ბიზნეს სექტორი



წყარო: საქსტატი

საშუალო და დიდი ზომის სასტუმროები ჯამური ოთახების 41.3%-ს შეადგენს

განთავსების ობიექტებში ოთახების რაოდენობა კატეგორიის მიხედვით, 2022 წლის 9 თვე



სასტუმროებში ოთახების რაოდენობა ზომის მიხედვით, 2022 წლის 9 თვე

	რაოდენობა	ოთახი	საწოლი
ჯამი	**1,157**	**31,809**	**71,813**
<30 ოთახი	857	11,418	27,855
30+ ოთახი	300	20,391	43,958

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გალტ & თაგარტის კვლევები

საშუალო და დიდი ზომის (30+ ნომერი) სასტუმროს ნომრების ზრდა შენელდა

საშუალო და დიდი ზომის (30+ ოთახი) სასტუმროებში ოთახების რაოდენობა



საშუალო და დიდი ზომის (30+ ოთახი) სასტუმროების გახსნა წლების მიხედვით

	2017	2018	2019	2020	2021	9 თვე 2022
სასტუმრო, რაოდენობა	25	30	32	18	20	19
ოთახები, წ/წ ზრდა	14%	12%	15%	9%	6%	8%

საშუალო და დიდი ზომის (30+ ოთახი) სასტუმროების ოთახების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გალტ & თაგარტის კვლევები

ბრენდირებული სასტუმროების პროექტებზე პანდემიამ ნეგატიურად იმოქმედა

ბრენდული სასტუმროების ოთახების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გალტ & თაგარტის კვლევები

ბრენდული სასტუმროების ოთახების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2022 წლის 9 თვე



ბრენდული სასტუმროების გახსნა 2022 წელს

სასტუმრო	რეგიონი	ოთახები
პულმან აქსის თაუერსი	თბილისი	220
ჰილტონ გარდენ ინი	თბილისი	170
იბის ბაჯეტი	თბილისი	137
რამადა ბაი ვინდჰემ	თბილისი	125
რამადა ოლდ თბილისი	თბილისი	107
გოლდენ ტიულიპ დიზაინ	თბილისი	77
ქორთიარდ მერიოტი	ბათუმი	150

ბევრი ბრენდირებული სასტუმროს პროექტი შეწყდა პანდემიის გამო, მაგრამ დაგეგმილი პროექტების რაოდენობა მაინც სოლიდურია

ბრენდული სასტუმროების ოთახების რაოდენობა **2025** წლისთვის დაგეგმილი პროექტების გათვალისწინებით



	ოთახები დაგეგმილ სასტუმროებში	
	საშუალო კლასის საერთაშორისო ბრენდები	მაღალი კლასის საერთაშორისო ბრენდები
თბილისი	1,923	1,435
ბათუმი	327	868
სხვა	458	445

წყარო: გალტ & თაგარტის კვლევები

მკვეთრად შემცირდა სასტუმროს მშენებლობის ნებართვები, შემცირდა ნებართვის საშუალო ზომაც

სასტუმროების მშენებლობაზე გაცემული ნებართვები, ‘000 კვ.მ.



წყარო: საქსტატი

სასტუმროების მშენებლობაზე გაცემული ნებართვები, ერთეული

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	6 თვე 2022
ნებართვის საშუალო ზომა, კვ.მ.	2,670	2,954	2,291	3,259	1,784	1,926	1,780	1,191	1,617



ადგილობრივების მიერ ბარათით გადახდები მნიშვნელოვნად გაზრდილი რჩება 2019 წელთან შედარებით

ბარათით გადახდების დინამიკა 2019 წელთან შედარებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პოს ტერმინალით გადახდები თბილისის სასტუმროებში ეტაპობრივი აღდგენის გზაზეა, ხოლო ბათუმში გადახდები აჭარბებს პანდემიამდელ დონეს

თბილისის სასტუმროებში საქართველოს ბანკის პოს ტერმინალებით გადახდების ინდექსი, აპრილი 2019=100

	იან-22	თებ-22	მარ-22	მაი-22	ივნ-22	ივლ-22	აგვ-22
წ/წ ზრდა	690%	347%	211%	104%	54%	19%	19%



აჭარის სასტუმროებში საქართველოს ბანკის პოს ტერმინალებით გადახდების ინდექსი, აპრილი 2019=100

	იან-22	თებ-22	მარ-22	აპრ-22	მაი-22	ივნ-22	ივლ-22	აგვ-22
წ/წ ზრდა	511%	362%	159%	146%	83%	2%	7%	70%



წყარო: საქართველოს ბანკი, გალტ & თაგარტის კვლევები

კახეთის სასტუმროებში პოს ტერმინალით გადახდები აჭარბებს პანდემიამდელ დონეს, ხოლო თანდათანობით აღდგენის გზაზეა მცხეთა-მთიანეთში

კახეთის სასტუმროებში საქართველოს ბანკის პოს ტერმინალებით გადახდების ინდექსი, აპრილი 2019=100



	იან-22	თებ-22	მარ-22	აპრ-22	მაი-22	ივნ-22	ივლ-22	აგვ-22
წ/წ ზრდა	-16%	-33%	-27%	2%	-18%	-4%	21%	29%

მცხეთა-მთიანეთის სასტუმროებში საქართველოს ბანკის პოს ტერმინალებით გადახდების ინდექსი, აპრილი 2019=100



	იან-22	თებ-22	მარ-22	აპრ-22	მაი-22	ივნ-22	ივლ-22	აგვ-22
წ/წ ზრდა	718%	1303%	37%	4%	50%	35%	32%	20%

წყარო: საქართველოს ბანკი, გალტ & თაგარტის კვლევები

რეგიონების უფრო სწრაფი აღდგენა განპირობებულია შიდა ტურიზმით

სასტუმროების ფასის (ADR) აღდგენა თბილისში



სასტუმროების ფასის (ADR) აღდგენა რეგიონებში



ოთახზე შემოსავლის (RevPar) აღდგენა თბილისში



ოთახზე შემოსავლის (RevPar) აღდგენა რეგიონებში



წყარო: საქართველოს ბანკი, გალტ & თაგარტის კვლევები

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

უფროსი ასოცირებული მკვლევრი
კახა სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge